კენჭისყრის დღის დაკვირვების შედეგები 21:00 საათზე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციააგრძელებს კენჭისყრის დღის მიმდინარეობაზე დაკვირვებას. 20:00 საათიდან დაიხურა კენჭისყრის უბნები და დაიწყო ხმის დათვლის პროცედურა.

21:00 საათისთვის, საიას დამკვირვებლებმა დააფიქსირეს უბანში 9 საჩივარი, ოლქში 10 საჩივარი, 21 შენიშვნა. იდენტიფიცირებული იქნა შემდეგი სახის დარღვევები:

საარჩევნო კომისიის წევრების მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება:

- ბორჯომის #23 უბანზე დაფიქსირდა, რომ გაცემული ბიულეტენების რაოდენობა ორით მეტია ამომრჩევლების ხელმოწერების რაოდენობაზე ამომრჩეველთა სიაში. საარჩევნო უბნის კომისიის წევრის ახსნა-განმარტებით, გადაღლის გამო, გამორჩა ხელმოწერები ამომრჩეველთა სიაში. (ანალოგიური შემთხვევა დაფიქირდა დილით ბორჯომის #15 და #19 უბნებზე);

- ოზურგეთის #42-ე უბანზე დღის სამ საათზე ხელმოწერების და ბიულეტენების რაოდენობის გადამოწმებისას, აღმოჩნდა, რომ გაცემული ბიულეტენების რაოდენობა ორით მეტია ამომრჩევლების ხელმოწერების რაოდენობაზე ამომრჩეველთა სიაში;

- ოზურგეთის #42 უბანზე ნაკადის მომწესრიგებელი არ ახორციელებდა ამომრჩევლის პირადობის მოწმობის შემოწმებას. ამავე უბანზე რეგისტრატორმა ერთ-ერთ ამომრჩეველს აღმოუჩინა ვადაგასული პირადობის მოწმობა. შესაბამისად, ამომრჩეველს არ მიუცია არჩევნებში მონაწილეობა;

- ოზურგეთის #28 უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი აპირებდა იმ ამომრჩევლისთვის ბიულეტენის გადაცემას, რომლის პირადობის მოწმობაც იყო ვადაგასული. საიას დამკვირვებლის მხრიდან შენიშვნის დაფიქსირების გამო, ამ ამომრჩეველმა ვადაგასული პირადობის მოწმობით არჩევნებში მონაწილეობა ვეღარ შეძლო;

- ოზურგეთის #4 საარჩევნო უბანზე ხმა მისცა გადასატანი ყუთის სიაში შეყვანილმა ამომრჩეველმა, რომელიც უბანზე გამოცხადდა და გადასატანი ყუთით ხმა მიცემული არ ჰქონდა.

ამომრჩევლის ნების კონტროლი:

- ბორჯომის #3 უბანზე სამარშუტო ტაქსით ხდებოდა ამომრჩევლის მიყვანა უბანზე. ასევე, უბნის გარეთ იმყოფებოდნენ დაუდგენელი პირები, რომლებიც უბნებზე მისულ ამომრჩეველს აღრიცხავდნენ;

- ოზურგეთის #17 და #20 უბნების გარეთ იმყოფებოდნენ დაუდგენელი პირები, რომლებიც უბნებზე მისულ ამომრჩეველს აღრიცხავდნენ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2017 წლის 12 ნოემბერს თვითმმართველი ქალაქის/მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურს ქუთაისში, მარტვილში, ოზურგეთში, ხაშურში, ბორჯომსა და ყაზბეგში აკვირდება.

საიას ცხელი ხაზის ნომერია: 032 2 18 26 30

ასევე, არჩევნების დღის დარღვევების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ www.electionsportal.ge-ს, სადაც შეგიძლიათ განათავსოთ თქვენს მიერ დაფიქსირებული დარღვევა ონლაინ ფორმის შევსებით ან უფასო SMS-ის საშუალებით ნომერზე 90039.

~~2017 წლის ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურის შესახებ, შემაჯამებელ განცახდებას საია ხვალ, 13 ნოემბერს, დღის 12:00 სთ-ზე გააკეთებს.~~

საიას ადგილობრივი თვითმმართველობის კენჭისყრის დღის მონიტორინგის მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა ევროკავშირის, შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ბაქოში ნორვეგიის სამეფოს საელჩოს, Ḍ□□□□□□□ წვლილი დემოკრატიისათვის □ (NED), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ფონდი Ḍ□□□ საზოგადოება - საქართველოს □ დაფინანსებით. განცხადებაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას □ და მისი შინაარსი შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.